ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 85

"21" თებერვალი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, პეტრე გრუზინსკის ქუჩის შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის და ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხისთვის სამხედრო მოღვაწის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, პეტრე გრუზინსკის ქუჩის შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს სამხედრო მოღვაწის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ნაძალადევის რაიონში, პეტრე გრუზინსკის ქუჩის შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს სამხედრო მოღვაწის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. ნაძალადევის რაიონში, ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხს მიენიჭოს სამხედრო მოღვაწის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის II ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
4. ნაძალადევის რაიონში, პეტრე გრუზინსკის შესახვევთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს გენერალ ნესტორ გარდაფხაძის III ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

5. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
6. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე


X:483273 Y:4621232
წესტორ გარდაფხაძის ქ.
X:483446 Y:4621110
X:483408 Y:4621063
X:483454 Y:4621064
X:483373 Y:4621052
I ჩიხი
X:483489 Y:4620988
X:483473 Y:4620983
X:483514 Y:4620957
X:483608 Y:4620940
III ჩიხი
X:483588 Y:4620930
X:483558 Y:4620924
X:483534 Y:4620911
წესტორ გარდაფხაძის ქ.
X:483561 Y:4620890
X:483615 Y:4620882
X:483541 Y:4620905
II ჩიხი
X:483495 Y:4620796
N
1:2,500